საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტის

აქტი

№ 22/00 „ 23 " ივნისი 2011 ქ. თბილისი

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ი. ... ილია გოცირიძე

23 ივნისი
„--------"----------" 2011 წელი

ეგზ. N2

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამინისტროში საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესრულების ფინანსური (კამერალური) აუდიტის შედეგების შესახებ

შინაარსი/საძიებელი:

ნაწილი I – შესავალი გვ.2

ნაწილი II - ძირითადი ტექსტი გვ.3

1. მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1 სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა გვ.3

1.2 სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა გვ.11

1.3 გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა გვ.11

1.4 დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა გვ.13

2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა გვ.15

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდგომარეობა გვ.16

ნაწილი - III აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი გვ.17

ხელმოწერები გვ.17

ნაწილი I – შესავალი

ფინანსური აუდიტის საფუძველი - საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2011 წლის 28 თებერვლის N17/43 ბრძანება.

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორი ქართლოს სახვაძე (ჯგუფის ხელმძღვანელი) და უფროსი სპეციალისტი თეა კობიაშვილი.

აუდიტის ჯგუფი - საქართველოს კონტროლის პალატის აუდიტორი ქართლოს სახვამე (ჯგუფის ხელმძღვანელი) და უფროსი სპეციალისტი თეა კობიაშვილი.

აუდიტის პერიოდი - 2010 წლის 1 იანვრიდან 2011 წლის 1იანვრამდე.

აუდიტის სახე - ფინანსური (კამერალური).

აუდიტის მეთოდი - წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზი.

აუდიტის პროგრამით გათვალისწინებული საკითხები აუდიტის ჯგუფის წევრების მიერ შესწავლილ იქნა ერთობლივად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს იურიდიული მისამართია: 0114 ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N6 ტელ: 72-72-24, 72-72-34; ფაქსი: 72-72-34. www.moe.ge

აუდიტი დაიწყო 2011 წლის 28 თებერვალს დამთავრდა 2011 წლის 21 მარტს.

გამოყენებული ნორმატიული აქტების ნუსხა წარმოდგენილია დანართის სახით.

შემოკლებანი:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო – სამინისტრო;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი – მინისტრი;

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო – ფინანსთა სამინისტრო;

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური – სახაზინო სამსახური;

5. „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონი – წლიური საბიუჯეტო კანონი;

6. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ.

ნაწილი II – ძირითადი ტექსტი

1.მიღებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მდგომარეობა:

1.1. *სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების, ასევე მათი საკასო და ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა*

ინფორმაცია სამინისტროს მიერ წარდგენილი 2010 წლის საბიუჯეტო განაცხადის, დამტკიცებული ბიუჯეტის, წლიური საბიუჯეტო კანონით დამტკიცებული ასიგნებების მთლიან მოცულობაში განხორციელებული ცვლილებებისა და დაზუსტებული ბიუჯეტის შესახებ მოცემულია წინამდებარე ცხრილში და ასევე გამოსახულია გრაფიკულად:

(ათასი ლარი)

ორგანიზაციული კოდი	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლები	2010 წლის წარდგენილი განაცხადი	2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი I (4.12.2009 წ.)	2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი II (18.06.2010 წ.)	2010 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი III (19,11,2010 წ.)	2010 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი
1	2	3	4	5	6	7
38 00	**საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო**	**28 154,9**	**28 514,9**	**29 066,9**	**30 067,2**	**30 441,2**
	მომუშავეთა რიცხოვნობა	2 096	2 096	2 064	2 032	2 032
1	**ხარჯები**	**26 271,5**	**26 199,5**	**26 199,5**	**24 242,6**	**24 538,0**
1.1	შრომის ანაზღაურება	13 965,1	13 965,1	14 056,9	14 056,9	14 358,8
1.2	საქონელი და მომსახურება	6 756,0	6 756,0	6 664,2	7 056,5	6 616,6
1.3	სუბსიდიები	3 931,5	3 859,5	3 859,5	1 510,3	1 500,3
1.4	გრანტები	-	-	-	-	126,0
1.5	სოციალური უზრუნველყოფა	96,3	96,3	96,3	96,3	117,4
1.6	სხვა ხარჯები	1 522,6	1 522,6	1 522,6	1 522,6	1 818,9
2	**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**1 883,4**	**2 315,4**	**2 867,4**	**5 824,6**	**5 890,7**

3	ფინანსური აქტივების ზრდა	0	0	0	0	0
4	ვალდებულებების კლება	0	0	0	0	12,5

(ათასი ლარი)



აუდიტის პერიოდში, სამინისტროს მიერ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე განხორციელდა 22 ცვლილება (ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობები N38, N166, N190, N295, N304, N330, N449, N494, N630, N706, N730, N719, N869, N928, N929, N167, N911, N912, N1015, N1066, N1067, N1116). შედეგად, 2010 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა 30 441,2 ათასი ლარი შეადგინა. განხორციელებული ცვლილებების საერთო მოცულობამ 736,2 ათასი ლარი შეადგინა, რაც შესაბამისობაშია ზემოაღნიშნული კოდექსით დადგენილ ნორმებთან.

სამინისტროს ნაერთი ბალანსის მიხედვით, საკასო და ფაქტობრივი შესრულება მოცემულია წინამდებარე ცხრილში:

(ათასი ლარი)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა	მოთხოვნა	გადახდა	ფაქტობ-რივი ხარჯი	სხვაობა გადახდასა და მოთხოვნას შორის (4-3)	სხვაობა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (5-4)	ათვისება% (4/2*100)
1	2	3	4	5	6	7	
სულ ასიგნება	30 441,2	28 570,8	28 570,6	-	-0,2	-	93,8
ხარჯები მათ შორის:	24 538,0	22 859,2	22 859,0	25 665,1	-0,2	2 806,1	93,1
შრომის ანაზღაურება	*14 358,8*	*14 302,9*	*14 302,9*	*14 303,7*	-	*0,8*	*99,6*
საქონელი და მომსახურება	*6 616,6*	*5 816,6*	*5 816,4*	*5 919,5*	*-0,2*	*103,1*	*87,9*
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	*3 607,6*	-	*3 607,6*	-
სუბსიდიები	*1 500,3*	*1 080,7*	*1 080,7*	*175,3*	-	*-905,4*	*72,0*
გრანტები	*126,0*	*124,7*	*124,7*	*124,7*	-	-	*99,0*
სოციალური უზრუნველყოფა	*117,4*	*83,9*	*83,9*	*83,9*	-	-	*71,5*
სხვა ხარჯები	*1 818,9*	*1 450,4*	*1 450,4*	*1450,4*	-	-	*79,7*
არაფინანსური აქტივების ზრდა	5 890,7	5 699,1	5 699,1	-	-	-	96,7
ვალდებულებების კლება	12,5	12,5	12,5	-	-	-	100,0
შენიშვნა: „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლით ფაქტობრივ ხარჯში ასახულია ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა							

როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, „სხვა საქონელი და მომსახურების“ მუხლში ფაქტობრივ ხარჯებსა და გადახდას შორის სხვაობა შეადგენს 103,1 ათას ლარს, რაც გამოწვეულია 2009 წელს გადახდილი ავანსებისა და შეძენილი მარაგების ფაქტობრივ ხარჯებში 2010 წელს აღიარებით. სუბსიდიების მუხლში გადახდასა და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა, 905,4 ათასი ლარი კი ძირითადად გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით: (1) ბუნების დაცვის პროგრამაზე - "სამხრეთ კავკასია - საქართველო - ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში KFW" და

„ხარაგაულის სათემო ტყის საცდელ პროექტზე - KFW", საგრანტო რესურსები, შესაბამისად 643,8 ათასი და 266,4 ათასი ლარის ოდენობით, აღრიცხულია მხოლოდ საკასო ხარჯებად და არ არის ასახული სამინისტროს ფაქტობრივ ხარჯებში, რაც წარმოდგენილი განმარტებით, გამოწვეულია მითითებული საგრანტო სახრების დონორის მიერ პროექტის კონსულტანტის (WWF გერმანიის) ანგარიშზე ხაზინის გაუვლელად პირდაპირი ჩარიცხვით, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე. ამავე განმარტების თანახმად, აღნიშნული პროექტების განხორციელების მიზნით გამოცემულია მინისტრის სათანადო ბრძანებები (N499, 5.10.2010 წ. და N571, 25.11.2009 წ.) რომელთა შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა და სამინისტროს ნაერთ ანგარიშგებაში სრულყოფილი მონაცემები აისახება 2011 წლის პირველ კვარტალში, პროექტების კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. (2) დაცული ტერიტორიების განვითარების ღონისძიებებზე კი სუბსიდიების მუხლში ფაქტობრივი ხარჯები აღემატება საკასოს 4,8 ათასი ლარით, წინა წელს გაცემული ავანსებისა და შეძენილი მარაგების ფაქტობრივ ხარჯებში 2010 წელს ასახვის გამო.

სამინისტროს დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის გეგმებისა და ასევე გადახდის (საკასო ხარჯი) შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია გრაფიკულად:

(ათასი ლარი)



➢ სამინისტროს 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის ასიგნებებს შორის შეუსაბამობა (30%-ზე მეტი) კლასიფიკაციის ორგანიზაციული კოდების მიხედვით გამოვლინდა შემდეგ ორგანიზაციულ კოდებზე:

1. სამინისტროს ცენტრალური აპარატის (38 01) „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლში დამტკიცებული მოცულობა გაიზარდა 22,2 ათასი ლარით, რაც გამოიწვია დროებით შრომისუუნარობის ფურცლების, სადეკრეტო შვებულებების ანაზღაურებისა და ასევე, სამინისტროს აპარატის სტრუქტურულ ერთეულებში განხორციელებული შტატების შემცირების შედეგად გათავისუფლებულ მუშაკებზე „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 109-ე მუხლის შესაბამისად კომპენსაციების გაცემის აუცილებლობამ.

2. ტერიტორიული ორგანოების (38 02) „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლში დამტკიცებული მოცულობა შემცირდა 1,0 ათასი ლარით, რაც გამოიწვია აღნიშნული მუხლით წლის განმავლობაში გასაწევი ხარჯების მოცულობების დაზუსტებამ.

3. ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებების (38 03 01) „საქონელი და მომსახურების" მუხლი დამტკიცებულთან შედარებით შემცირდა 43,7 ათასი ლარით. რაც განაპირობა სამინისტროს მიერ, გარემოზე ზემოქმედების ნებართვების გაცემის პროცედურებისათვის საჭირო საექსპერტო დასკვნების ძირითადად საკუთარი საკადრო რესურსებით მომზადებამ და შესაბამისად, თავისუფალი ფინანსური რესურსების წარმოქმნამ.

4. საგამოძიებო დეპარტამენტის (38 04) „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლი დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით შემცირდა 20,0 ათასი ლარით, შესაბამისად გაიზარდა „საქონელი და მომსახურების" მუხლი. დეპარტამენტის მიერ 2010 წელს დამატებით იქნა შეძენილი 3 ერთეული ავტომანქანა, რომელთა შენახვის ხარჯები (საწვავის შეძენა) არ იყო გათვალისწინებული დამტკიცებულ ბიუჯეტში, რამაც გამოიწვია ცვლილების გატარების აუცილებლობა.

5. გარემოს დაცვის ინსპექციის (38 07) „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლი დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაიზარდა 103,0 ათასი ლარით. ცვლილება გამოწვეულია ინსპექციის მომსახურე სპეციალური დანიშნულების ავტომანქანების დამატებითი ტექნიკური აღჭურვის აუცილებლობით.

➢ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2010 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ბიუჯეტის კლასიფიკაციის ორგანიზაციული კოდების მიხედვით დაზუსტებული ბიუჯეტის ასიგნებებსა და გადახდას (საკასო ხარჯი) შორის შეუსაბამობა (15%-ზე მეტი) გამოვლინდა შემდეგ ორგანიზაციულ კოდებზე:

1. ტერიტორიული ორგანოების (38 02) „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საკასო ხარჯი დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით გაწეულია 1,1 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით. რაც განაპირობა გადახდის განხორციელებამ ფაქტობრივად წარდგენილი დოკუმენტების (დროებით შრომისუუნარობის და დეკრეტული შვებულებების ფურცლები) შესაბამისად.

2. ექსპერტიზის ჩატარების უზრუნველყოფის ღონისძიებების (38 03 01) „საქონელი და მომსახურების" მუხლში აუთვისებელი დარჩა 9,5 ათასი ლარი, ვინაიდან 2010 წლის განმავლობაში სამინისტროში შემოსულ განცხადებებზე, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურისათვის, საექსპერტო დასკვნების მომზადება ძირითადად განხორციელდა სამინისტროს საკუთარი საკადრო რესურსებით.

3. მოსახლეობის შეშით უზრუნველყოფის ღონისძიებების (38 03 04) „სხვა ხარჯების" მუხლით საკასო ხარჯი დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით გაწეულია 344,0 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით, რაც გამოწვეულია შეშის ვაუჩერების განაღდებაზე მოსახლეობის დაბალი მოთხოვნით გათვალისწინებულთან შედარებით.

4. სსიპ „სატყეო სააგენტოს" ცენტრალური აპარატის (38 06 01) „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლით საკასო ხარჯი დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით გაწეულია 9,7 ათ. ლარით ნაკლები ოდენობით, რაც

განაპირობა გადახდის განხორციელებამ ფაქტობრივად წარდგენილი დოკუმენტების (დროებით შრომისუუნარობის და დეკრეტული შვებულებების ფურცლები) შესაბამისად.

4.1 სატყეო ღონისძიებების (38 06 02) „საქონელი და მომსახურების" მუხლში საკასო ხარჯი დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით გაწეულია 313,6 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით. აღნიშნული განპირობებულია ტყეკაფების გამოყოფის მომსახურების შესყიდვის განხორციელების შედეგად დარჩენილი თავისუფალი რესურსებით, რაც არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ სრულად განხორციელებულიყო დაგეგმილი, ტყისათვის აუცილებელი ღონისძიებები (ტყის მოვლა, აღდგენა, ფართობების დაზუსტება და ა.შ.)

5. გარემოს დაცვის ინსპექციის (38 07) „სოციალური უზრუნველყოფის" მუხლში საკასო ხარჯი დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით გაწეულია 13,4 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით, რაც განაპირობა გადახდის განხორციელებამ ფაქტობრივად წარდგენილი დოკუმენტების (დროებით შრომისუუნარობის და დეკრეტული შვებულებების ფურცლები) შესაბამისად.

6. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს (38 12) „სხვა ხარჯების" მუხლით არ იქნა ათვისებული 2,0 ათ. ლარი, რაც წარმოიქმნა სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციიის ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის და სახელმწიფო ბაჟის გადახდის შემდეგ.

6.1 პროგრამა „დაცული ტერიტორიების ხანძარსაწინააღმდეგო და მავნებლებისაგან დაცვის ღონისძიებების" (38 12 02) „საქონელი და მომსახურების" მუხლით გაწეულია 11,2 ათასი ლარით ნაკლები საკასო ხარჯი დაზუსტებულთან შედარებით, რაც გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ადგილობრივ ბაზარზე ვერ იქნა მოძიებული პროგრამის ფარგლებში შესასყიდი მავნებლების საწინააღმდეგო შესაწამლი ნივთიერებები.

7. ბუნების დაცვის პროგრამა „სამხრეთ კავკასია – საქართველო – ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნა საქართველოში" (38 15 06) –

„სუბსიდიების" მუხლით (თანადაფინანსება) საკასო ხარჯი დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით გაწეულია 9,7 ათასი ლარით ნაკლები ოდენობით, ვინაიდან პროექტის განმახორციელებელი რგოლის მიერ არ იქნა წარმოდგენილი მოთხოვნები პროექტის თანადაფინანსებაზე.

8. ხარაგაულის სათემო ტყის საცდელი პროექტის (38 15 07) –„სუბსიდიების" (გრანტი) მუხლით საკასო ხარჯი გაწეულია დაზუსტებულ ბიუჯეტთან შედარებით 287,2 ათასი ლარით ნაკლები, რაც გამოწვეულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შეფერხებით.

1.2. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო და სხვა მიზნობრივი ფონდებიდან სახსრების გამოყოფისა და ათვისების მდგომარეობა

2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან ასიგნებები არ მიუღია.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდს, „ოკუპირებული ტერიტორიების ხაზის პირას მდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 18 ოქტომბრის N1331 განკარგულების შესაბამისად სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - სატყეო სააგენტოს გამოეყო 374,0 ათასი ლარი. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული თანხით შიდა ქართლის რეგიონში 5508 კომლს დაურიგდა 11016 კუბური მეტრი სათბობი შეშა.

1.3. გრანტის (ფულადი და სასაქონლო) მიღების, ათვისების და ანგარიშგებაში მოქმედი სტანდარტების შესაბამისად ასახვის მდგომარეობა

აუდიტის პერიოდში, სამინისტროს მიერ მისაღები ფულადი გრანტების საერთო მოცულობა განისაზღვრა 3 594,3 ათასი ლარის ოდენობით, საკასო ხარჯებმა კი 3 469,1 ათასი ლარი შეადგინა. კერძოდ:

N	გრანტის მიმღები ორგანიზაციის დასახელება	გრანტის მიღების საფუძველი	შეთანხმებული ხარჯვის მოცულობა 2010 წ.	2010 წლის საკასო ხარჯი
1.	სამინისტროს აპარატი (38 01)	1) გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) ხელშეკრულებები N83058304, 10.06.2010 – N116; N83058211, 17.05.2010 - N107 19.05.10; N83067016, 28.07.2010 – 130 07.08.10; N83074560, 08.11.2010 – N152 12.11.10; N83074558, 08.11.2010 – N153 12.11.10; N83063849 10.06.2010 – N117 16.06.10; 2) შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო, შეთანხმება NSSM2010/263, 17.06.2010.	299 718	176 016
2.	გარემოს დაცვის ინსპექცია	გარემოს დაცვის ინსპექტირების სფეროში შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ N2008072403, 16.08.2008 – N13, 15.09.08 წ.	4 674	4 674
3.	სსიპ „სატყეო საბაზისე სანერგე მეურნეობა“ (38 11)	2009 წლის 13 აგვისტოს ხელშეკრულება პროექტის სახელწოდებით „სამხრეთ კავკასიაში სატყეო ლანდშაფტის აღდგენის გზით კლიმატური ცვლილებებით გამოწვეული ზეგავლენის შემცირება“ - პროექტი (NGE-0040) N56, 24.08.09 წ.	160 028	160 009
4.	სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტო“	ევროპის საბჭოსა და სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები: N48 - 25.06.2009 წ; N69 - 30.10.2009 წ; N109 – 25.05.10 წ. გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკთან - N3831 19.11.10 წ; N170 31.10 07 წ. აშშ-ს შინაგან დეპარტამენტთან - N70 30.10.09 წ. ჯეიხანისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენების კომპანიებთან - N86 08.02.10წ. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან - N105, 06.05.10 წ. და N3012, 08.11.10 წ.	3 111 886	3 110 952

5.	სსიპ „სატყეო სააგენტოს ცენტრალური აპარატი	გაეროს სოფლის მეურნეობის და კვების ორგანიზაციის მიერ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სატყეო დეპარტამენტის აპარატისათვის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მეშვეობით, ფულადი გრანტი	17 975	17 418
	ჯამი		**3 594 283**	**3 469 071**

2010 წლის ნაერთი ბალანსის მიხედვით სამინისტროს მიერ მიღებულია 702,5 ათასი ლარის სასაქონლო გრანტი, მათ შორის: 608,9 ათასი ლარი ძირითადი აქტივები, ხოლო 93,6 ათასი ლარის მატერიალური მარაგები. აქედან: სამინისტროს აპარატს მიღებული აქვს 120,3 ათასი ლარის სასაქონლო გრანტი (112,2 ათასი ლარის ძირითადი აქტივები, 8,1 ათასი ლარის მარაგები), სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს" - 572,8 ათასი ლარის (488,5 ათასი ლარის ძირითადი აქტივები, 84,3 ათასი ლარის მარაგები), სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოს" – 9,4 ათასი ლარის (8,2 ათასი ლარის ძირითადი აქტივები, 1,2 ათასი ლარის მარაგები).

1.4. დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებების მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის მდგომარეობა და რეალობა

(ათას ლარებში)

დასახელება კოდი 38 00	ნაშთი 01.01.2010 წლის მდგომარეობით		ნაშთი 01.01.2011 წლის მდგომარეობით		2010 წელს წარმოქმნილი		შენიშვნა
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	
1	2	3	4	5	6	7	8
სულ, მათ შორის:	3 652,7	7 647,9	3 649,1	7 403,4	1 102,9	224,9	
შრომის ანაზღაურება	*1,8*	*3 039,1*	-	*2 913,2*	-	*0,3*	
საქონელი და მომსახურება	*677,9*	*2 443,5*	*642,0*	*2 413,2*	*19,8*	*31,3*	

სუბსიდიები	*1 112,0*	*3,4*	*2 022,2*	*55,0*	*910,2*	*51,6*	
სხვა ხარჯები	*468,4*	*1 924,2*	*409,6*	*1 813,9*	*164,0*	*141,1*	
არაფინანსური აქტივების ზრდა	1 392,6	237,7	575,3	208,1	8,8	0,6	

2010 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა 3 652,7 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. წლის განმავლობაში დაიფარა 1 106,5 ათასი ლარის ოდენობის, ხოლო წარმოიქმნა 1 102,9 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება. 2011 წლის 1 იანვრისათვის სამინისტროს დებიტორული დავალიანებების ნაშთი შეადგენდა 3649,1 ათას ლარს.

2010 წლის 1 იანვრისათვის სამინისტროს ერიცხებოდა 7 647,9 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. 2010 წელს დაიფარა 493,9 ათასი ლარის ოდენობის, ხოლო წარმოიქმნა 249,4 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება. 2011 წლის 1 იანვრისათვის სამინისტროს კრედიტორული დავალიანებების ნაშთი შეადგენდა 7 403,4 ათას ლარს.

ამასთან, სამინისტროს ბალანსზე ირიცხება 1996-2000 წლებში წარმოქმნილი 284,6 ათასი ლარის დებიტორული და 6 174,9 ათასი ლარის კრედიტორული დავალიანება.

დებიტორული დავალიანებების დინამიკა 2007-2010 წლების მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკულად:



კრედიტორული დავალიანებების დინამიკა 2007-2010 წლების მიხედვით წარმოდგენილია გრაფიკულად:



2. ფინანსური ანგარიშებისა და ანგარიშგების შედგენის შესაბამისობა მოქმედ სტანდარტებთან და მათი წარდგენის მდგომარეობა

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ნაერთი ბუღალტრული ბალანსები შედგენილია სამინისტროს ცენტრალური აპარატის, სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, სამინისტროს მმართველობისა და კონტროლის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ წარდგენილი ბალანსების საფუძველზე. ამასთან მათ მიერ ანგარიშგების ფორმები (როგორც კვარტალური ასევე წლიური) შედგენილია დამოუკიდებლად და წარდგენილი აქვთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ვადების დაცვით.

სამინისტროს 2009 წლის ნაერთი ბუღალტრული ანგარიშგებები (როგორც კვარტალური ასევე წლიური) შედგენილია მოქმედი სტანდარტების შესაბამისად და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში წარდგენილია ვადების დაცვით.

ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, სამინისტროს ნაერთ ბალანსში, ასევე სსიპ „სატყეო სააგენტოსა“ და სსიპ „დაცული ტერიტორიების სააგენტოს“ ფინანსურ ანგარიშგებებში არ არის ასახული შესაბამისად 266,4 ათასი ლარის და 643,8 ათასი

ლარის საგრანტო რესურსებით გაწეული საკასო ხარჯების შესაბამისი ფაქტობრივი ხარჯების მონაცემები.

რეკომენდაცია:

სამინისტრომ და შესაბამისმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, უზრუნველყონ საგრანტო რესურსებით გაწეული ხარჯების შესახებ სათანადო ინფორმაციის მოპოვება და მათი სრულად ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებებში.

3. მხარჯავი დაწესებულების მიერ „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრიორიტეტებისა და ამ პრიორიტეტების მისაღწევად განხორციელებული პროგრამებისა და ღონისძიებების შედეგების მდგომარეობა

სამინისტროს 2010 წლის ერთ-ერთ პრიორიტეტულ პროგრამას წარმოადგენდა „ეკოტურიზმის განვითარება", რომელიც მოიცავდა ერთის მხრივ დაცული ტერიტორიების მდგრად განვითარებას და მეორეს მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას ტურისტული პოტენციალის ეფექტური გამოყენებით. როგორც სამინისტროს მიერ შედგენილი წლიური ანგარიშიდან ირკვევა, 2010 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა სახის სარეკლამო ღონისძიებები, შეიქმნა საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკები, მოეწყო ტურისტული გამოფენები სხვადასხვა ქალაქებში.

თუმცა, როგორც ანალიზით დგინდება, ზემოაღნიშნულ ანგარიშში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, განხორციელებულმა ღონისძიებებმა რამდენად შეუწყო ხელი დაცული ტერიტორიების განვითარებას, ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და ა.შ.

ანალოგიურად, ზემოაღნიშნულ ანგარიშში აღწერილია პროგრამა „სატყეო ღონისძიებების" ფარგლებში განხორციელებული ოპერაციები და არ ჩანს რამდენად შეუწყო ხელი ამ ოპერაციებმა პროგრამის ძირითად მიზანს - სატყეო რესურსებით

ეფექტურ სარგებლობას და იმავდროულად ტყეების ხარისხობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რეკომენდაცია:

სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში მეტი ყურადღება დაუთმოს ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პრიორიტეტების შედეგად მიღწეულ და მოსალოდნელ შედეგებს.

ნაწილი - III აუდიტის აქტის სამართლებრივი სტატუსი, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებანი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

„საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, აუდიტის აქტი მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს, მხოლოდ საქართველოს კონტროლის პალატში, ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზირი N96.

აუდიტის ჯგუფის ხელმოწერები:

საქართველოს კონტროლის პალატის
აუდიტორი:
ქართლოს სახვაძე

უფროსი სპეციალისტი:
თეა კობიაშვილი